საკონტინენტთაშორისო თასი

ოთხი

საქართველოს ბორჯღალოსნები

ლათინ ამერიკელთა წინააღმდეგ

6 ნოემბერს	12 ნოემბერს
ურუგვაი	ჩილე

თბილისში

მესხის სტადიონზე

14 საათზე

ნაკრების დასაღვინებლად

ჩვენმა კაცმა ბორჯღალოსნებმა წლის პირველი ნახევარი ფრიადზე დაასრულეს. ერთა თასს პირველი წრის შემდეგ ვლიდერობთ და რუმინეთთან საცილო ანთიმოზ ივერიელის თასიც ვაკეში, რაგბის კავშირის ოფისში ინახება.

გაისად უფრო დიდი ბრძოლები გველის. ეგაა ჯერ ერთა თასის მეორე წრე, მერე კი მსოფლიო თასის შესარჩევები. ერთა თასზე რაც უკეთ გამოვალთ, 2007 წლისთვის საფრანგეთის საგზურის მოპოვება მით უფრო გაგვიადვილდება.

ბოლო, ავსტრალიაში შარშანწინ გამართული მსოფლიო თასის შემდეგ ჩვენი ნაკრები გადახალისდა. ახალი გუნდის ბირთვი უკვე გამოიკვეთა. ბიჭები მატჩიდან მატჩამდე იზრდებიან და ერთმანეთს ეწყობიან. ქართველ მწვრთნელთა მიერ არჩეული საბურთაო სტილიც ერთი, რომ თვალსასეირია და მეორეც, მოთამაშეთათვის უფრო მისაღებია, ვიდრე ფრანგი გურუ-ყოფილისგან თავის დროზე დანერგილი.

ბორჯღალოსნები ღვინდებიან. სხვა გუნდების დარად, სრულფასოვანი რეზერვის ყოლა ჩვენთვისაც არსებითია. სწორედ ამისთვის ვიყენებთ საკონტინენტთაშორისო თასს, რომლის პროგრამითაც ურუგვაი და ჩილე შარშანდლის საპასუხო ვიზიტით ეწვევიან საძრეთ ამერიკაში ნამყოფ საქართველოსა და პორტუგალიას.

შეჯიბრი მსოფლიოში რაგბის განმგებლის, საერთაშორისო საბჭოს (IRB) ეგიდით იმართება და მის მიერვე ფინანსდება. თასის მონაწილე ოთხივე გუნდი, IRB-ის კლასიფიკაციით, მესამე დონეს მიეკუთვნება (95 ქვეყანა სულ ექვს დონედაა განაწილებული). ფორმულა ორიგინალურია. სტუმრები მხოლოდ მასპინძლებს ერაგბებიან. ჩემპიონი ამ ორ რაუნდში მოგროვილი ქულებით (გამარჯვება 4, ფრე 2, მარცხი 0; მეოთხე ლელოს გატანა ანდა რვაზე ნაკლებით წაგება – თითო პრემია) გამოვლინდება.

გაისად, ერთა თასზე 4 თებერვალს რუსეთს ვდებულობთ, 25 თებერვალს რუმინეთში ვრაგბობთ, 11 მარტს პორტუგალიას ვმასპინძლობთ, 18 მარტს ჩეხეთს ვეწვევით, უკრაინა 29 აპრილს გველის, შესარჩევებში კი ოქტომბერში ჩავებმებით.

დროული და უტყუარი სარაგბო ინფორმაცია

რაგბის კავშირის საითი	www.GeorgianLelos.com
მსოფლიო რაგბის საითი	www.GeoCities.com/DidiRagbi

ტეროსი

დაარსდა 1951
IRB 1989

4 800 მოთამაშე
45 მსაჯი

URუგვაი

რეიტინგი 15

კონდორესი

დაარსდა 1935
IRB 1991

16 200 მოთამაშე
140 მსაჯი

ჩილე

رეიტინგი 23

IRB-ი ალალად ზრუნავს

ჩილური რაგბი URუგვაულზე ძველია და ტოტემად უფრო ძლიერი ფრინველიც დაუდგენია (კონდორი მთის არწივია, ხოლო ტერო მწყრის მაგვარი ჩიტი), მაგრამ წარმატება კონკურენტზე ნაკლები მოუპოვებია. თამაშის გლობალიზაციამდე ამის მიზეზი ის იყო, რომ URუგვაი რაგბში ფაქტობრივად არგენტინის დანამატს წარმოადგენდა, მაშინ როცა ჩილეს არგენტინისგან ქედი ჰყოფს და იქაური რაგბი ქვეყანაში იყო გამოკეტილი.

URუგვაი ბოლო ორ მსოფლიო თასზე (1999 შოტლანდია, 2003 ავსტრალია) ფინალში გავიდა და ბულში ორივეჯერ მოიგო თითო თამაში, ჩილეს კი მსგავსი პატივი ჯერ ვერ ღირსებია. მომავალ, 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევებშიც მოუწევთ ძველ მეტოქეებს შებმა და IRB-ის მიერ დადგენილი პროტექციონისტული წესით, გაისად ერთადერთი რკენა ძლიერის, URუგვაის მოედანზე გაიმართება, რაც ჩილეს ერთი-ორად ურთულებს ამოცანას.

URუგვაი და ჩილე ერთმანეთს პირველად 1948 წლის აგვისტოში, ბუენოს აირესში (არგენტინა) შეხვდნენ. მაშინ უფრო გამოცდილმა ჩილემ 21:3 გაიმარჯვა. იქვე 34:25 მოიგო კონდორესმა ბოლო თამაშიც: წლეულს, მაისში, სამხრეთი ამერიკის 26-ე პირველობის ოდენ სამ-გუნდა „ა“ ჯგუფში. არადა, 32 ტესტის ჯამში წინ ტეროსია 19-12 (ერთიც ფრე), რაღაი 1983 – 2001 წლებში მეტოქე ზედიზედ 11-ჯერ უძლევია.

შარშანდელ კობაზე სტუმარ საქართველოს ორივე მასპინძელმა მოუგო. ჩვენმა მეწყვილე პორტუგალიამ ჩილეში 28:9 გაიმარჯვა, მაგრამ მერე URუგვაიში 3:30 წააგო და თასი, რომლის ნივთად არსებობაც ფრიად საეჭვოა, იქვე დატოვა.

წლეულს, კონტინენტის ჩემპიონატზე, URუგვაიმ არგენტინის ულეგიონერებო ნაკრებთან 21:27 წააგო, ჩილემ კი 13:48. მანამდე, აპრილში, ტეროსი დაუხვდა აზიის ლიდერ იაპონიას და 24:18 ძლია 2011 წლის მსოფლიო თასის სამასპინძლოდ შებრძოლი ქვეყანა, ივნისში კი ამავე მიზნით ანთებულ სამხრეთ აფრიკას ისთ ლანდონში თავად ეახლა, 21 ლელო გაუშვა, ბოკეგან 3:134 მოისრა და IRB-ის კრიტიკოსები ძაანაც აქირქილა, ესაო და ასეთი ტესტის გამართვას რა აზრი აქვსო.

არადა, პატივცემული IRB-ი სამხრეთ ამერიკელებზე ალალად ზრუნავს. ბობოლა არგენტინა სამ სეზონში გრანტად ორი მილიონ 250 ათას გირვანქას მიითვლის. ამ წყალობის მადლი მიწვდებათ URუგვაისა და ჩილესაც, რადგან შეიქმნება პროფესიული ლიგა, რომელშიც არგენტინის რვა პროვინციის მხარდამხარ ტეროსი და კონდორესიც ირაგბებენ.

საქართველოს ახლო მომავალში მსგავსი არაფერი ელის, რაღაი IRB-ს სერიოზულად არავინ მიმართა შავი ზღვის ლიგის (რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, უკრაინა) შექმნის მოთხოვნით. რაც შეეხება ჩვენს ოფიციალურ მონაცემებს, რაგბს 1959 წლიდან ვთამაშობთ, IRB-ში 1992 წელს მიგვიღეს, რეიტინგში მე-19 ადგილი გვიჭირავს, მორაგბე 2 800 გვყავს, მსაჯი კი 22.

ჯერაც ვერ მოგვიგია

ჩვენს ლათინ სტუმრებს აქამდე სამგზის შევხვედრივართ და სამივეჯერ წაგვიგია. შარშანწინ, ავსტრალიაში გამართულ მსოფლიო თასზე ბორჯღალოსანთა პროგრამა–მინიმუმი ტეროსის ძლევა იყო, მაგრამ უკუღმართი კალენდრის გამო იმათ გადამწყვეტ შებმამდე 13 დღე შეისვენეს, ჩვენ კი სამხრეთ აფრიკასთან ნაომრებს მოგვიხდა ჯახი. ამას დაერთო ფრანგი სორელის მიერ არჩეული ყოვლად გაუგებარი ტაქტიკა. ჰოდა, რაციონალურად მორაგბე ურუგვაიმ ალალად მოგვიგო.

შარშან, პირველ კოპაზე, ახალმა მწვრთნელებმა ლეგიონერები არ იახლეს და შინ მოთამაშე ჯეელები გამოცადეს. თამაშებს მასპინძელთა მეზობლები სჯიდნენ და სახლიკაცებს ურცხვად აშველებდნენ სასტვენს. ურუგვაისთან რაგბობა მოლების გორებასა და მუშტი–კრივში გაილია, ჩილეს კი თავიდანვე მაგრად გავუსწარით, მაგრამ მერე ჩვენმა ბეკებმა ზედიზედ ყლაპეს და კონდორესთანაც წავაგეთ.

ურუგვაი 24:12 საქართველო

საქართველო: (15–9) მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე (კაცაძე 59), ქავთარაშვილი (ხამაშურიძე 41); ჯიმშელაძე (კვირიკაშვილი 41), ი. მოდებაძე / (1–8) შველიძე, დადუნაშვილი (ა. გიორგაძე 41), კოპალიანი (ნიკოლაენკო 41, კოპალიანი 79); მჭედლიშვილი, გუჯარაიძე (წიკლაური 63); ჩხაიძე, იაშვილი, ზედგინიძე კაპ – 4ს: ურჯუკაშვილი, კვირიკაშვილი 3

ურუგვაი: მენჩაკა, კარდოსო, დ. აგირე კაპ, მენდარო (პასტორე 50), ბალდასარი; ს. აგირე, კამბომარი (ამარილიო 79) / სანჩესი (ბერუტი 74), იამელასი (პერესი 70), ლემონე (სტორაჩე 78); ბადო, ალსუეტა (ბრინიონი 66); ბონტე (გუტიერესი 58), გრილიე, კაბო – 3ლ: კარდოსო, იამელასი, ბრინიონი; 3ზ: დ. აგირე 2, მენჩაკა; ს: მენჩაკა

მსაჯი დიკერი (ზელანდია). სიდნეი, ოზი სტადიუმი (28 576). 28 ოქტ, 2003 – 0:3(14) 3:3(19) 3:10(24) / 6:10(45) 9:10(50) 9:17(57) 12:17(68) 12:24(78)

ურუგვაი 17:7 საქართველო

საქართველო: (15–9) ზვ.კობერიძე, გუგავა, ფირფილაშვილი, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი; ბარკალაია, სამხარაძე / (1–8) ნინიძე სბ 20 (გ.ჟღენტი სბ 60), ჭავჭავაძე, ზერაქაშვილი სბ 20; გორგოძე სბ 55, ს. მჭედლიშვილი (კობალეიშვილი); ჩიკვაიძე (სბ ჟღენტი), ზვ. მაისურაძე (სბ სანიკიძე), ბოლღაშვილი კაპ – ლ: ბოლღაშვილი; ბ: ურჯუკაშვილი



ურუგვაი: ბერეს კასტიჯიო, დუგონიჩი, პასტორე, კანესა, კროსა (დელგადო); ბერეირა (კაფერა), კამბომარი კაპ / კაბო სბ 20 (სილვეირა, არბოლეია), ბერესი, სტორაჩე (ბოსე); ხურია, ალსუეტა (ლუსიჩი სბ 60); არა, ბრინიონი სბ 20 მაპაძ 55, კონტი – 2ლ: კროსა, პასტორე; 2ბ, ს: ბერეს კასტიჯიო

მსაჯი ტოსკანო (არგენტინა). მონტევიდეო, ლუის ფრანსინი. 30 ოქტ, 2004 – 0:7(3) 0:14(26) 7:14(40) / 7:17(61)

ჩილე 30:24 საქართველო

საქართველო: (15–9) ურჯუკაშვილი, გუგავა, ფირფილაშვილი, შკინინი (მაჩხანელი), ელიზბარაშვილი; ბარკალაია, კვირიკაშვილი (სამხარაძე) / (1–8) სანიკიძე (ნინიძე), ჭავჭავაძე, სანაძე (ზერაქაშვილი სბ); გორგოძე, ს. მჭედლიშვილი; ბოლღაშვილი კაპ, სარდანაშვილი (ზვ. მაისურაძე), ვალიშვილი (ჩიკვაიძე) – 3ლ: მჭედლიშვილი, ვალიშვილი, ურჯუკაშვილი; 3ლ, ს: ურჯუკაშვილი

ჩილე: კრუსი, ლიორენსი, პისარო კაპ, ეჩევერია (სოლესი), ბერტი; ონეტო, ოლავე / ილიანესი (პავესი), კონტრერასი, ხოანეტი (იგა); დესმონდი (მარსალი), გარსია; ბენეტი, ვესტენენკი სბ (მარინი), ხიმენესი – 4ლ: ვესტენენკი ორი (1 3), ბერტი, ხოანეტი; 2ბ, ს: კრუსი; ბ: ონეტო

მსაჯი ბლენჯო (ურუგვაი). სანტიაგო, უელსის პრინცი. 6 ნოემ, 2004 – 7:0(1) 14:0(7) 14:7(10) 17:7(13) 17:10(27ა) 24:10(33) 24:13(36) 24:18(40) / 24:25(44) 24:30(48)

მარტივად ახსნილი

რაგბი

გუნდი

გუნდიდან მოედანზე 15 კაცია. სათადარიგო შვიდია და ნებადართულია შვიდი შეცვლა. დასისხლიანებული მოთამაშე მოედნიდან უნდა გავიდეს და მანამ არ დაბრუნდეს, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

დრო

თამაში ორ ტაიმად იმართება. თითოს ხანგრძლივობა 40 წუთია. ამას ემატება ტრავმათა, შეცვლათა და მსაჯთა თათბირის გამო გაცდენილი დრო. ერთი კია, ტაიმი არ თავდება გაგანია ბურთაობაში, საჯარიმო და თავისუფალ დარტყმებზე; სამაგიეროდ, დროის ამოწურვის შემდეგ პირველივე აუტი, შერკინება, 22-დან განახლება და ლელოს გარდასახვა ტაიმის ბოლოს მომასწავებელია.

ხეირის წესი

მსაჯობის მთავარი პრინციპი ხეირის (უპირატესობის) ამოქმედებაა. როცა ერთი გუნდი წესს არღვევს, მსაჯი უმალ კი არ სტვენს, არამედ მეტოქეს შეტევას აცლის და მხოლოდ მაშინ, როცა მართალი გუნდი ვეღარ ხეირობს, ნიშნავს ადრინდელი დარღვევის სარგო სასჯელს.

ქულები

ბურთის გატანა ხდება ოთხი ხერხით. ლელო 5 ქულად ფასობს. ამის შემდეგ გუნდი კარში ურტყამს გარდასახვას და თუ შეაგდო, კიდევ 2 ქულა ემატება.

გოლის გატანის სხვა ორი ხერხია საჯარიმო და არეკნი (თამაშის დროს ბურთის მიწაზე დაგდება და ფეხის მაშინ ამორტყმა, როცა ოვალი მიწიდან ხტება). ორივე 3 ქულად ფასობს.

ლელო გაიტანება მეტოქის ლელოში ბურთის დამიწებით. თუ გუნდი ბურთს თავის ლელოში დაამიწებს, მას ლელო დაცულად ეთვლება.

დარღვევები

ბურთის წინ გადაწოდება ან ხელიდან წინ დავარდნა ისჯება შერკინებით.

თამაშგარე (ოფსაიდი) ჯარიმაა. ღია თამაშში ოფსაიდშია ყველა შემტევი, ვინც კი ფეხის დარტყმის მომენტში თანაგუნდელი დამრტყმელის წინაა. ესენი ოფსაიდიდან ან თავად უნდა გავიდნენ, ან დამრტყმელმა გაიყვანოს, როცა წინ აირბენს და მათ გაუსწორდება.

სხვაგვარი თამაშგარე მოქმედებს ბოჭვაზე, რაქში (ძირს დებული ბურთისთვის ზეზეულად ბრძოლაში), მოლში (ბურთისთვის დგომელა ჭიდილში), შერკინებაში და დერეფანში.

ამისი არსი ისაა, რომ ვინც კი იმ მომენტში ბურთისთვის არ იბრძვის, მებრძოლ თავისიანთაგან ბოლოზე უკან უნდა დაიხიოს, დერეფანში კი შუა ხაზს სულაც 10 მეტრით დაშორდეს.

ურჯუკობისთვის (ზღვარგადასული სიხისტე) და წესების ზედიზედ დარღვევისთვის (პროფესიული ფოლი) დამნაშავეს მსაჯი უჩვენებს ყვითელ ბარათს და გააძევებს ათი წუთით (სინბინი).

სადაო ბურთი

დერეფანსა და შერკინებაში ბურთი შუაში უნდა მოაწოდონ. შერკინებაში აუცილებლად რვა კაცი უნდა ჩადგეს. დერეფანში ნებადართულია ბურთის მოსაგებად ამხტარი კაცისთვის ხელის შეშველება.

სამატჩო რაზმი

ფორვარდები	ბეკები
დამწყები 15-ეული	
1 მარცხენა ბურჯი	9 ჰავბეკი
2 კვაჭი (ჰუკერი)	10 პირველი პივოტი
3 მარჯვენა ბურჯი	11 მარცხენა ფრთა
4 მხტომელი	12 მეორე პივოტი
5 მხტომელი	13 შუამარბი
6 მარბიელი	14 მარჯვენა ფრთა
7 მღლეტელი	15 ფულბეკი
8 მარბიელი	
მარქაფა (სათადარიგონი)	
16 კვაჭი	20 ჰავბეკი
17 ბურჯი	21 შუა ბეკი (10 12 13)
18 მხტომელი	22 უკანა ბეკი (11 14 15)
19 მარბიელ-მღლეტელი	

თუ გაგანია თამაშში მეტოქე ბურთიანს დაიჭერს და წააქცევს (შემბოჭავს!), ამან ბურთით უმალ უნდა ითამაშოს, თორემ დაჯარიმდება. მოიერიშე ყველაზე ხშირად ამ წესს არღვევს.

შემტევი გუნდი კიდევ ჯარიმდება გზის შეკვრისთვის (ბლოკირება; ანუ როცა მეტოქეს შენს გუნდელ ბურთიანთან არ მიუშვებ).

შერკინება

როცა ბურთი ჩაიხურება, ინიშნება შერკინება. ბურთს მასში აგდებს ის გუნდი, ვინც წინ მიიწევდა, მაგრამ თუ გუნდმა ბურთი მოლიდან ვერ გამოიტანა, შერკინებაში შესაგდებად ბურთი მეტოქეს გადაეცემა. იგივე ხდება მაშინაც, როცა გუნდი მოგებულ ბურთს შერკინებიდან მის მოტრიალებამდე ვერ გამოიტანს.

თუ ბურთი აუტში თამაშ–თამაშ გავიდა, დერეფანში მას მეტოქე მოაწვდის, მაგრამ თუ ბურთი კიდეზე ჯარიმიდან დაარტყეს, აწვდის ჯარიმის დამრტყმელი გუნდი. ეს მძლავრი საიერიშო ხერხია.

ფეხით თამაში

თუ ბურთი აუტში საკუთარი 22–მეტრა ხაზის უკნიდან, ან ჯარიმიდან დაარტყეს, დერეფანი დადგება იქ, სადაც ბურთი აუტში გავიდა, მაგრამ თუ ბურთი 22–ის გარედან დაარტყეს აუტში, იგი კიდეზე გადასვლამდე ჯერ მოედანში უნდა დავარდეს, თორემ დერეფანი დარტყმის ადგილის გასწვრივ მოეწყობა.

ტაქტიკა

რაგბში არ არსებობენ ცალკე თავდამსხმელები და ცალკე მცველები: ყველა ერთად უტევს და იცავს თავს.

ყოველი სასტვენის მერე თამაშს იწყებენ ფორვარდები (ძორკინალები).

ამათი მიზანია, პირდაპირი, ძალისმიერი მიძალებით ბურთი წინ წაწიონ და მოედნის მცირე უბანზე მიიზიდონ მეტოქის ჭარბი ძალა.

როცა კი ეს მოხდება, ჰავბეკი ბურთს მისცემს ბეკებს (უკანა ხაზელებს), რათა ამათ მოედნის ვრცელსა და გაუხშოებულ უბნებზე, უკან დამხევი დაცვის წინაშე, თავიანთი სიმარდის წყალობით, გამოიყენონ რიცხობრივი მეტობა.

ვიდრე ეს მოხდება, შემტევს ხშირად ზედიზედ უწევს მიძალება. ამას იერიშის ფაზა ჰქვია.

ყოველი ფაზის შემდეგ მოქმედებს ოფსაიდი, ხდება ტერიტორიის გამიჯვნა და ორივე გუნდი გადაჯგუფდება ხოლმე.

თუ დამცველი ამ დროს შემტევს ბურთს აართმევს, მაშ, თერნოვერი მომხდარა და დამცველს უკვე თავად შეეძლება შეტევა.

დაცვა ბოლო ფეხის გაყოლებაზე ხაზად ეწყობა. შემტევი მის გაჭრას ცდილობს, მისიანები კი მიყვებიან. ხშირად ბურთიანს პასი კონტაქტში, ნახევრად დაჭერილს უწევს. ამას ოფლოუდი ქვია.

ხეირი ამ გუნდს

ლელლო!



საქართველოს ბორჯღალოსნები

ბეკები (უკანა ხაზი)

		უკან (15, 11, 14 “ 22)						**ქულა**
...	ოთარ ბარკალაია	ვჰკ ანდორა	21	12	2გ	1ს	1ა	10
...	ირაკლი მაჩხანელი	ბეზიე სფრ	24	15		3ლ		15
...	ბესიკ ხამაშურიძე	როვიგო Იტა	28	38		9ლ		45
...	გიორგი შკინინი	ხულიგანა	22	3				0
...	გიორგი ელიზბარაშვილი	აკადემია	21	4				0
		შუაში (13, 12 “ 21)						
...	დავით ჟამუტაშვილი	ხულიგანა	23	0				0
...	ირაკლი გიორგაძე	ბურგუენი სფრ	23	14				0
...	ლაშა ფირფილაშვილი	ლელო	22	8				0
...	დავით კაჭარავა	ყოჩები	20	0				0
...	ირაკლი ჩხიკვაძე	ლოკომოტივი რუს	18	0				0
		პივოტი (10)						
...	ბობა კვინიხიძე	ლოკომოტივი	27	5	1ლ	4გ	7ს	0
		ჰავბეკი (9 “ 20)						
...	მეკო კვირიკაშვილი	ლელო	22	12		1ლ	4ს	17
...	ბიძინა სამხარაძე	ლოკომოტივი	22	7				0

ფორვარდები (შერკინება)

		პირველი ხაზი (1, 2, 3 “ 16, 17)					
...	გოდერძი შველიძე (კაპ)	კლერმონი სფრ	27	30		7ლ	35
...	დავით დადუნაშვილი	მასი სფრ	23	8		1ლ	5
...	დავით ზერაქაშვილი	კლერმონი სფრ	22	6		1ლ	5
...	მამუკა მაგრაქველიძე	მონპელიე სფრ	28	9			0
...	გიორგი კუთარაშვილი	ეგზი სფრ	27	4			0
...	დავით ხინჩაგიშვილი	ბურგუენი სფრ	23	6			0
...	გიორგი ჟღენტი	ფარული რუმ	21	1			0
...	გიორგი სანიკიძე	ფარული რუმ	21	2			0
...	დაჩი ყუფარაძე	ხულიგანა	21	0			0
		მეორე ხაზი (4, 5 “ 18)					
...	მამუკა გორგოძე	მონპელიე სფრ	21	14		6ლ	30
...	ზვიად მათიაშვილი	მასი სფრ	28	1			0
...	სანდრო მჭედლიშვილი	ფარული რუმ	27	3		1ლ	5
...	გიორგი ნემსაძე	აია ქუთაისი	21	0			0
		მესამე ხაზი (6, 7, 8 “ 19)					
...	რატი ურუშაძე	ენისეი რუს	30	9		3ლ	15
...	შალვა სუთიაშვილი	ლოკომოტივი	21	0			0
...	ბესო უდესიანი	შალონი სფრ	26	12		1ლ	5
...	რევაზ ბელქანია	ლელო	23	1			0

მწვრთნელები: მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი